სატრანსპორტო საშუალების მართვის უსაფრთხოების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი დებულებების რეფორმა
ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების შედეგები

ა.წ. 3-9 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და "საერთაშორისო გაჭირვალეობა – საქართველოს" ინიციატივით გაიმართა შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან სატრანსპორტო საშუალების მართვის უსაფრთხოების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი დებულებების რეფორმის პროექტის ფარგლებში. შეხვედრები კერძოდ გაიმართა:

- 3 აგვისტოს – საერთაშორისო ორგანიზაციების მსუბუქი ავტომანქანების მძღოლებთან;
- 4 აგვისტო – მსუბუქი ავტომანქანების კერძო მფლობელებთან;
- 5 აგვისტო - ქალაქის სამარშრუტო ტაქსების და მსუბუქი ავტომანქანების ტაქსების მძღოლებთან;
- 6 აგვისტო – საქალაქთაშორისო ავტობუსების და სამარშრუტო ტაქსების მძღოლებთან;
- 9 აგვისტო – შსს საგზაო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე თანამშრომლები.

ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების დროს დისკუსიის შედეგად გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები და რეკომენდაციები:

- სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია/ტექნიკური დათვალიერება

ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერების დროს გამოყენებულ იქნეს ერთი გაჩერების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერება და შესაბამისად დამდასტურებელი დოკუმენტაციის თუ აღმოჩენილის გაცემა მოხდება ერთ ადგილას – შსს სამინისტროს მიერ ლიცენზირებულ დიაგნოსტიკურ ცენტრებში;

"საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

"საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში ამყოფებული და დადგენილი წესით რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით გაცემის საკალენდარო, კერძოდ საბალანსო ტექნიკურ დათვალიერებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტირებულ დიაგნოსტიკურ ცენტრებში, რომელთა ლიცენზირებას ახდენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საბალანსო ტექნიკური დათვალიერების დამდასტურებელი მოწმობა ძალაშია მისი ჩატარების დღიდან ერთი წლის განმავლობაში." შესაბამისად ნათელია, რომ კანონით დადგენილია მხოლოდ ტექნიკური დათვალიერება და განსაზღვრულია კონკრეტული ხუთეული.

შსს მინისტრის 2002 წლის 18 აპრილის №142 ბრძანება 3.5. პუნქტის მიხედვით:

"ავტოტრანსპორტის ტექნიკურ დათვალიერებას აწარმოებენ საქართველოში შსს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შსს საქმალაქო და რაიონული საგზაო პოლიციის (საპატრულო პოლიციის) შესაბამისი სამსახურები კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ ლიცენზირებულ დიაგნოსტიკურ ცენტრებში შემოწმების საფუძველზე".

"3.10. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასების საგზაო პოლიცია ახდენს უწესიერობათა და ხარვეზების ნუსხის მიხედვით, რომელთა არსებობისას აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაცია. შემოწმების ეფექტურობის ამაღლებისა და ობიექტური შედეგების მიღებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება ხორციელდება ლიცენზირებულ დიაგნოსტიკურ ცენტრებში."

"3.11. ავტომფლობელი უფლებამოსილია წარადგინოს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება რეგისტრაციის ადგილის რეგიონში არსებული ნებისმიერ ლიცენზირებულ დიაგნოსტიკურ ცენტრში შესამოწმებლად, ხოლო ტექნიკური დათვალიერების სანდოობა შედეგების გასაფორმებლად ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენა უნდა მოხდეს საგზაო პოლიციაში მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. განსაკუთრებულ შემთხვევაში ავტომფლობელია ინტერესების გათვალისწინებით გამონაკლისის დაშვება შეიძლება მხოლოდ საგზაო პოლიციის მოაკარი სამმართველოს უფროსის მოთხოვნის საფუძველზე."

ამავე დროს, უნდა ხდებოდეს საერთო ტექნიკური დათვალიერების განხორციელება და შესაბამისი კონტროლი, როგორც ბუნებრივ პირზე მოქმედი ისე სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის;
ტექნიკური დათვალიერების გავლის დროს უნდა იყოს უზრუნველყოფილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთათვის ტექდათვალიერების საფასურის გადახდა იმ სანდო დაწესებულებაში, რომელშიც ისინი მოისურვებენ;
მსს მიერ უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ლიცენზირების/ნებართვების შესრულების კონტროლი;

- მართვის უფლება/მძღოლის მოწმობა

მიჩნეულ იქნა, რომ მართვის მოწმობის გაცემა უნდა ხორციელდებოდეს უვადოთ. ამავე დროს არ არის მიზანშეწონილი მართვის მოწმობის დაკარგვის დროს დამატებითი გამოცდის ჩაბარება; ამავე დროს მიზანშეუწონელია არაფიზიკურ, ნარკოლოგიურ ან ფსიქოტროპული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ტრანსპორტის მართვისათვის მართვის უფლების ჩამორთმეულ პირებს მართვის მოწმობის დასაბრუნებლად ჯანმრთელობის ცხობის წარმოდგენასთან ერთად მოეთხოვოს თეორიული გამოცდის ჩაბარება საგზაო მოძრაობის წესებში.
მიზანშეწონილია პირის დავალდებულება განმეორებით ჩააბაროს გამოცდა (თუნდაც თეორიული), როდესაც ის 12 თვის განმავლობაში არ მართავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას; შესაძლებელია განხილულ იქნეს უფრო დიდი დროის მონაკვეთში გამოცდის ჩაბარების მიზანშეწონილობა.
მიზანშეწონილად ჩაითვალა მართვის მოწმობის ალების დროს პირის ნარკოლოგიური შემოწმების საავალდებულო წესით ჩატარება;
მიზანშეწონილია შეტყობდეს მართვის მოწმობის საფასური;
შესაძლებელია გამოცდის განმეორებით ჩაბარების დროს დაწესდეს კარგეული საფასური;
ამავე დროს, მიზანშეწონილია გაუქმებულ იქნას მართვის მოწმობის ჩამორთმევის ინსტიტუტი;

- მძღოლის აუცილებელია დოკუმენტაცია

კანონში ჩამოთვლილ დოკუმენტების გარდა საკმარისია მძღოლმა წარმოადგინოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერების დამადასტურებელი დოკუმენტი. სხვა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის აუცილებლობა არ უნდა არსებობდეს;

- განსაკუთრებული გალდებულებანი და აკრძალვები

აუცილებლად იქნა მიჩნეული გარკვეული ფორმით უსაფრთხოების ღონეების გამოყენების დავალდებულება და ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მობილური კომუნიკაციის საშუალების გამოყენების აკრძალვა. მოცემული აკრძალვის მიმართ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გარკვეული გამონაკლისის დაწესება, კერძოდ, კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა გამოწვეულია უკიდურესი აუცილებლობიდან, როდესაც საქმე გვაქვს ადამიანთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის საფრთხესთან. მოცემულ აკრძალვასთან მიმართებაშიც უნდა იქნას გამოყენებული ზემოთ აღნიშნული საფეხურებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი.

- <u>ქვითის მოვალეობანი</u>

აუცილებელია სპეციალური საინფორმაციო პროგრამების საშუალებით ქვით მოსარგებლეთა ინფორმირება მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. ამავე დროს, მიზანშეწონილია ქვითის მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის გამკაცრება და დარღვევათა ადმინისტრირების გაუმჯობესება. ამ რეფორმის შესახებ აუცილებელია საზოგადოების წინასწარი ინფორმირება.

- <u>სიჩქარის ლიმიტები</u>

მიზანშეწონილია ავტო მაგისტრალებზე სიჩქარის ლიმიტების არსებული სისტემის გადახედვა რაც თანხვედრი უნდა იყოს მაგისტრალების მაღალ ტექნიკურ მდგომარეობასთან;

- <u>მართვის უფლების ჩამორთმევა</u>

მიზანშეწონილია განსაკუთრებულად შეიზღუდოს მართვის უფლების ჩამორთმევის შემთხვევები. ამავე დროს უნდა იქნას განხილული მოცემული სახდელი ფორმის საერთოდ გაუქმების მიზანშეწონილობა.

- <u>კონკრეტული გადაცდომები</u>

მიზანშეწონილია კონკრეტული **გადაცდომების გადახედვა მათი მოქმედების და** აქტუალურობის გათვალისწინებით;

- <u>სახდელების ფორმა</u>

სახდელების ფორმასთან მიმართებაში მიზანშეწონილად ჩაითვალოს კონკრეტული სახდელის დაწესება კონკრეტულ გადაცდომაზე, ჯარიმების გრადაციის არსებობის გარეშე;

- <u>სახდელი დაკისრების ფორმა</u>

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ვებგვერდზე ჯარიმის გადახდის ნაცვლად ყველა ჯარიმა შესაბამისი ქვითრის გამოწერის შემთხვევაში გადაიხდებოდეს საბანკო სისტემის საშუალებით;
შესაძლებელია ჯარიმებზე დაწესდეს შესაბამისი საურავები;
ჯარიმის გადახდის საერთო ვადად დაწესდეს ერთი კვირიდან-ორ კვირამდე (დიდი რაოდენობის ჯარიმაზე – ერთ თვემდე);
ჯარიმების გადაუხდელობის შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს სასამართლო წესით ჯარიმის გადახდევინების მექანიზმი;
სასამართლოებში გადაცდომების განხილვის პროცედურა გამარტივდეს მისი სისწრაფის და ნაკლები დანახარჯების უზრუნველყოფის მიზნით.

- <u>საზოგადოების ინფორმირება არსებული კანონმდებლობისა და ნოვაციების შესახებ</u>

აუცილებლად ჩაითვალოს საზოგადოების, კერძოდ კი მძღოლების, მგზავრების, ქვეითთა და სხვათა ინფორმება საზოგადოებრივი მაუწყებლობის, საინფორმაციო ბუკლეტების, სამაზსოვრობის და სხვა ფორმების გამოყენებით ინფორმირება საგზაო მოძრაობის წესების, მათი უფლება-მოვალეობების, საგზაო პატრულის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.